



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 7 ივლისი, 2021 წელი

დრო: 13:00 -14:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
4. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
5. ნუგზარ კობრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
7. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

1. ქვეყანაში შექმნილი ვითარება
2. სამუშაო ჯგუფების შეხვედრების გამართვა
3. საკოორდინაციო საბჭოს გეგმიური შეხვედრების საკითხი
4. ბელარუსის საკითხის განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა. მან დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

თავდაპირველად, მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე განიხილეს ქვეყანაში შექმნილი ვითარება. 5 ივლისს, მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული მიზანმიმართული ძალადობის შესახებ, საკოორდინაციო საბჭომ, იმავე საღამოს, შეიმუშავა და საჯაროდ გაავრცელა განცხადება, რომელიც გმობს ძალადობას. განცხადების ნახვა სესამლებელია შემდეგ ბმულზე . აქვე აღინიშნა, რომ 6 ივლისს შექმნილი ვითარებაც იყო უაღრესად შემაშფოთებელი. რადიკალი ძალების მიერ, პარლამენტის შენობის წინ აღმართული ევროკავშირის დროში ჩამოხსნა არის უაღრესად შემაშფოთებელი და მავნებლური ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის უმთავრეს მიზანსა და მისწრაფებას. შესაბამისად, დღის განმავლობაში, საკოორდინაციო საბჭო შეიმუშავებს განცხადებას და გაავრცელებს მას სხვადასხვა მედია საშუალებებით.

მმართველი კომიტეტი შეთანხმდა, რომ გაიმართება ეროვნული პლატფორმის გაფართოებული შეხვედრა, რომელზეც მოწვეული იქნება კოალიციის ყველა წევრი ორგანიზაცია. გაფართოებულ შეხვედრაზე განიხილავენ 5-6 ივლისის განვითარებულ მოვლენებს და კიდევ ერთხელ იქნება ხაზგასმული და მკაფიოდ განმარტებული თუ როგორი მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპული არჩევანი, რა როლი აქვს ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებას.

განიხილეს სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზების საკითხიც. ჯგუფის კოორდინატორები შეთანხმდნენ, რომ მომდევნო 2 კვირის განმავლობაში, ეტაპობრივად გაიმართება ყველა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც ერთ-ერთი მთავარი საკითხი იქნება სექტორული შეხვედრების თემატიკის განსაზღვრა და ამ შეხვედრებისთვის ჯგუფების მომზადება.

საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მიმდინარეობს მონაცემთა ბაზის განახლების პროცესი, რომელიც გაგრძელდება 1 აგვისტომდე. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებმა თავიანთი ჯგუფების წევრ ორგანიზაციებს მაქსიმალურად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია აღნიშნული პროცესის შესახებ.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევანჭურაძე

